

Transactions of Georgian Technical University. AUTOMATED CONTROL SYSTEMS, No 1(4), 2008

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

ISSN 1512-3979

გ რ მ ა ბ ი
მართვის ავტომატიზებული სისტემები

**TRANSACTIONS
AUTOMATED CONTROL SYSTEMS**

**Т Р У Д Ы
АВТОМАТИЗИРОВАННЫЕ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ**

№ 1(4)



თბილისი-TBILISI-ТБИЛИСИ
2008

სარგებლობის პოლიტიკა:

- ბააშვილი ზ., გასიტაშვილი ზ., გიგინებშვილი ა., გოგიჩაიშვილი გ., გოცირიძე ი., დადაანი თ., ვერულავა თ., ზედგინიძე ი., კაიშაური თ., კამგამიძე კ., ლომინაძე ნ., მაჭარაძე თ., მძინარიშვილი ლ., ნატროშვილი დ., ობგაძე თ., სესაძე ვ., ტორონჯაძე თ., ფრანგიშვილი ა., წვერაძე ზ., ჯიბლაძე ნ.
- ჩოგოვაძე გ., კაბუბავა ი., კვიტაშვილი ა., მელაძე ჰ., მიქაძე ი., სალუქაძე მ., ჭავჭანიძე ვ., ხომერიკი თ.
- ვერმანია: ბოლხი გ., ბოტკე კ., ვედეკინდი ჰ., დე-მეერი ჰ., მაიერ-ვეგენერი კ., რეისიგი ვ.
- აშშ: ტრივედი კ. (დუკეს უნივერსიტეტი), კანადა: ქაჩიბაია ვ. (IT Industry)
- რუსეთი: ბაბაიანი რ., შჩუკინი ბ., სტრიუვსკი ვ., ფომინი ბ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: გ. სურგულაძე.

რეფერატები: www.gtu.ge/jurnalebi/mas/refer.html

EDITORIAL BOARD:

- Baiashvili Z., Gasitashvili Z., Gigineishvili A., Gogichaishvili G., Goziridze I., Dadiani T., Jibladze N., Kaishauri T., Kamkamidze K., Lominadze N., Macharadze T., Mdzinarishvili L., Natroshvili D., Obgadze T., Prangishvili A., Sesadze V., Toronjadze T., Tsveraidze Z., Verulava O., Zedginidze I.,
- Chogovadze G., Chavchanidze V., Kakubava I., Khomeriki O., Kvitalashvili A., Meladze G., Mikadze I., Salukvadze M.
- Germany: Bolch G.(Erlangen univ.), Bothe K.(Humboldt univ. Berlin), De-Meer H.(Passau univ.), Meyer-Wegener K. (Erlangen univ.), Reisig W. (Humboldt univ.Berlin), Wedekind H.(Erlangen univ.)
- USA: Trivedi K. (Duke University)
- Canada: Kachibaia V. (IT Industry)
- Russia: Babaian R.(IPU), Tshukin B., Strijevski V.(Mephi) , Fomin B. (St-Petersburg El-Techn.Univ.)

Executive Editor: G. Surguladze.

References: www.gtu.ge/jurnalebi/mas/refer.html

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

- Баяшвили З., Верулава О., Гаситашвили З., Гигинеишвили А., Гогичаишвили Г., Гоциридзе И., Дадиани Т., Джибладзе Н., Зедгинидзе И., Каишаври Т., Камкамидзе К., Ломинадзе Н., Мачарадзе Т., Мдзинаришвили Л., Натрошили Д., Обгадзе Т., Прангишвили А., Сесадзе В., Торонджадзе Т., Цверайдзе З.
- Чоговадзе Г., Какубава И., Квиташивили А., Меладзе Г., Микадзе И., Салуквадзе М., Хомерики О., Чавчанидзе В.
- Германия: Больх Г., Ботэ К., Ведекинд Х., Де-Меер Г., Мейер-Вегенер К., Рейсиг В.
- США: Триведи К. (Университет Дуке)
- Канада: Качибая В. (IT Industry)
- Россия: Бабаян Р. (ИПУ), Щукин Б., Стрижевский В. (МИФИ), Фомин Б. (ЭлТехУнив.С-т Петербург)

Ответственный редактор: Г. Сургуладзе.

Рефераты: www.gtu.ge/jurnalebi/mas/refer.html

ISSN 1512-3979



გამომცემლიბა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2008
Publishing House „Technical University“, 2008
Издательство „Технический Университет“, 2008

გ ი ნ ა პ რ ს ი

**„Modellierung-2008“ – ასაღი ხიდი მეცნიერებასა და ტაქმოებას შორის
რეისიგი ვ. (გერმანია), სურგულაძე გ., გულუა დ.**

9

თეორიული ინფორმაციები

- განაზილებული და რჩაპილული სისტემების სცენარები
კოლფგანგ რეისიგი (გერმანია) 16
- ხარისხის მართვის სატატისტიკური მეთოდიების გამოყენება პროგრამული
უზრუნველყოფის შექმნის პროცესში
ჩახუნაშვილი ა. (შევდეთი) 22
- შემთხვევითი მუკივების კლასიფიკაცია ამონებითი განაზილების
საფუძველზე
კვიტეშვილი ა. 32
- იდენტიფიკაციის ინტელექტუალური დინამიკის მათემატიკური მოდელირება. ფინანსის
ფრაქტალური სტრუქტურა
ობგაძე თ., ნერსესოვი გ. 39
- გლობალური ოპტიმიზაციის მეთოდების ეფექტურობის ექსამინაციული
შევასება
ჯიბლაძე ნ., გაჩეჩილაძე ლ., იმედაძე თ. 46
- რიტ ინტეგრატორის მყოფ რაიონების ოპტიმალური მართვა (სისტემის
გადაყვანა ხეზისმიზნი საჭყისი მდგრადი მოწყობილად კოორდინატთა სათავეში)
შევდლიშვილი ნ., მოსაშვილი ი. 52
- პარალელური ტიპის ორგანიზაციის გამოთვლითი სისტემის მუკივების განაზილების
მისი საიმპლოკის გათვალისწინებით
მიქაძე ი.ს., მიქაშვილი ნ. 61
- გამომთვლელი მოწყობილობის მიმრ დაგალების შესრულების განხორციელება
დაუტანირებით რეზერვით
მიქაშვილი ნ. 64
- საიმპლოკის განვითარებულების განსაზღვრა, როცა მტყველებათა ნაკადი
განაზილებულია მიმღებროგით-პარალელური მრღვაცის ნარჩენი
ანჯაფარიძე ტ., მიქაძე ზ., მუსერიძე ნ., შურლაია ი. 68

პრაქტიკული ინფორმაციები

- ბიზნეს-პროცესების მოდელირების თანამედროვე პრიცეპები და
ინსტრუმენტები საშუალებები
სურგულაძე გ., თურქია ე., გოუტაშვილი მ. 73
- მრავალის „ტენი-ოპტიკური მახასიათებელი“ აპროცესიაციის მეთოდი და
კალიბრების განსაზღვრების განსაზღვრის ალგორითმი
ნოზაძე ც., სამხარაძე რ. 78
- პროცესების მდგრადი მოწყობილობის მოდელირება ამტრის ქსელებით
სამხარაძე რ., გვარამია ე., გაჩეჩილაძე ლ. 84
- ინფორმაციის XLS ფორმატი გენერირების პროგრამული კომპლექსი
ქართველიშვილი ი., კუმელაშვილი ნ. 89

Transactions of Georgian Technical University. AUTOMATED CONTROL SYSTEMS, No 1(4), 2008

- ხელნაცვრი სიმარტოვანის ლოგიკისაციის ალგორითმი	93
ქართველიშვილი ი.	
- ინფორმაციულ-მართვები როგორების სისტემის გამოყოფების ალგორითმი	96
გაბედავა ო., პოჩოვიანი ს., კეკელია ვ.	
- მარკულატორების მართვის მოდელი მოდიფიცირებული ამონის ქსელით	99
გაბედავა ო., პოჩოვიანი ს.	
- გადაფიცენტილების მიღების მხარდაჭერ საინფორმაციო სისტემებში OLAP კონცენტრირების მრთვი რეალიზაციის შესახებ	103
პეტრიაშვილი ლ., ვაჟარაძე ი., ბასილაძე გ.	
- პროდუქციის წარმოების ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროცესების უნივერსალური და იგიტაციური მოდელირება	108
ოხანაშვილი მ., შარაშიძე თ.	

ტექნიკური ინფორმატიკა

- მულტიენდია სისტემის მოდელის შემუშავება	114
თევდორაძე გ.	
- ტელემეტრიის კომპიუტერული ქსელების არომატიკონების საკითხების კამპანიები კ., მანუკოვი მ., თევდორაძე მ., სალდაძე გ.	120
- ასიცენცურული დამგროვებელი ციფრული მოწყობილობების სიცოცხის მართვის დამუშავება ტინასტარ არჩევული ტრიგერის ბაზაზე	128
ბენაშვილი ა., იმნაიშვილი ლ., სვანიძე ნ.	
- ქსელურ სისტემებში დატვირთვის გაცავილების ოპტიმალური მათოლები გადალი ინტენსივურის საინფორმაციო ნაკადების არსებობისას ნატროშვილი ო., ხოშტარია ც., ნატროშვილი ნ., ხოშტარია ს.	135
- ხარისხის პარამეტრების ვიპრაციული დიაგნოსტიკა ელექტრომობავების ექსალუატაციის ეტაპზე	143
აბელაშვილი ნ.	
- ენერგომანაგენერაციულ ინფორმაციის შეგროვების საკითხები	147
მოდებაძე ი., მურჯიენელი გ.	

გამოყენებითი ინფორმატიკა

- სამუზეუმო აგარადატივებული საინფორმაციო სისტემის დაკრიმატიზაცია რაბიბჭ-ორიენტირებული მიღებით	152
გოგიჩაიშვილი გ., ყენდა რ.	
- ლინგვისტური პროცესორები: მიმოხილვითი ანალიზი	156
მეფარიშვილი ბ., მეფარიშვილი თ., ჯანელიძე გ.	
- ხელოვნური ინტელექტი: პროგლობები და აერსაექტივები	163
მეფარიშვილი ბ., მეფარიშვილი თ., ჯანელიძე გ.	
- ინფორმაციულ ტექნოლოგიების დაზრდებული სატრანსპორტო ნაკადების მონიტორინგის სისტემა	172
გასიტაშვილი ზ., აბულაძე ი., წერეავა ვ.	
- ახალი სამოთამრისო ენის შექმნა დოკის მოთხოვნაა	177
ღვინევაძე გ.	
- სასტაციო ექსამინაციული სისტემების ზოგადი მოდელის შესახებ	185
კობიაშვილი ა., გვარაშვილი ე.	
- საქართველოს კომერციული ბანკების ლიკვიდურობის ანალიზი	190
გიგუაშვილი ნ.	

Transactions of Georgian Technical University. AUTOMATED CONTROL SYSTEMS, No 1(4), 2008

- ტესტების შედგენა სირთულის გათვალისწინებით LMS Moodle-ს გარემოში	195
ლომინაძე თ., უგრია თ., კაპანაძე დ.	
- პროცესის ბიზურკაცია სამგერერატონიანი სისტემისათვის	200
დალაქიშვილი გ.	
- პროგრამული აკლიკაციების მონაცემთა პაზების დაარღმატება კატეგორიალური მიღებობით	206
სურგულაძე გ., თოფურია ნ., კაშიბაძე მ., სალინაძე დ.	
- საგანგებო სიტუაციათა კლასიფიკაცია და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგიერთი ასამაგრები	214
შონია ო., ოდიშარია კ., ელგენდარაშვილი ც., ნარეშელაშვილი გ.	
- ოპერაციულ სისტემაზი ჩის ური პროცესების მართვის ერთი აღმოჩინითის შესახებ	219
კაშიბაძე გ.	

MODELLIERUNG-2008: ახალი ხილი მეცნიერებასა და ტარმოებას შორის

კოლეგანგ რეისიგი¹, გია სურგულაძე², დავით გულუა¹

1-ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი (გერმანია)

2-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გადმოცემულია 12-14 მარტს ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში გამართული საერთო კონფერენციის „Modellierung-2008“ შედეგების დეტალური ანალიზი. მასში მონაწილეობდა ამ ქვეყნის თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლისა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე მომუშავე ცნობილი ფირმის წარმომადგენლები. ონფერენციის ორგანიზატორი იყო გერმანიის ინფორმატიკოსთა საზოგადოება, რომელიც 24500 წევრით ამ ქვეყნის ინფორმატიკოსთა უდიდეს გაერთიანებას წარმოადგენს. კონფერენციის მნიშვნელობა თეორიული ინფორმატიკის განვითარების საქმეში უდავოა. ცალკეულ სხდომებსა და ვორჯემობებზე კარგად გამოიკვეთა ინფორმატიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულების – მოდელირების განვითარების თანამედროვე ტენდენციები, მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისი. **Modellierung-2008** კონფერენციათა იმ სერიის ნაწილია, რომელთა მიზანიც ინფორმატიკულ მეცნიერებათა და პრაქტიკული ანუ საწარმოო- და ბიზნეს-ინფორმატიკის სფეროთა ურთიერთდაბლოება.

განაცილებული და რეაციული სისტემების სცენარები

კოლეგანგ რეისიგი

ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი

რეზიუმე

განაწილებული ან რეაქციული სისტემების დაპროექტების და ანალიზის ამოცანებისათვის ხშირად საჭირო ხდება სცენარების რეალიზაცია. ტექნიკური თვალსაზრისით სცენარის კონსტრუირება წარმოებს სასრული, განაწილებული პროცესების საშუალებით. სისტემის ნებისმიერი განაწილებული პროცესი ხშირად შედგება მისი სცენარის სხვადასხვა ეგზემპლარებისგან. სისტემის სცენარის არსის გაგება ხშირად საუკეთესო საშუალებაა თვით სისტემის აღსაქმელად. ნაშრომში განიხილება ეს საკითხები ურთიერთგამორიცხვის მოდელის, კროსტოლკ-ალგორითმისა და კექსის ავტომატის მაგალითებზე.

**სარისების მართვის სატატისფიკური მეთოდიკის გამოყენება
პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის პრცესში**

ალექსანდრე ჩახუნაშვილი

სკარაბორგის პოსპიტალების ჯგუფი, სკოლე (შვედეთი),
ჩალმერსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, გოტენბურგი

რეზიუმე

მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის მართვის სტატისტიკური მეთოდები ფართოდ გამოიყენება წარმოების ტრადიციულ დარგებში (მაგალითად, საავტომობილო, ელექტრონიკის, ქიმიური და კვების მრეწველობის დარგები), მათი გამოყენება პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის გასაუმჯობესებლად საკმაოდ მწირია. თუმცა არსებობს მაგალითები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ხარისხის მართვის სატატისტიკური მეთოდები შესაძლებელია საკმაოდ წარმატებულად იქნას გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების პროცესში. ამ სტატიაში ჩვენ მიმოვინილავთ ხარისხის სტატისტიკური მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს, კერძოდ, პროცესის სტატისტიკურ მართვას და განვიხილავთ მისი გამოყენების შესაძლებლობებს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის კონტექსტში.

**შემთხვევითი მფრივების კლასიფიკაცია ამოკრეზითი
განაწილების საფუძვლზე**

ავთანდილ კვიტაშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი

რეზიუმე

განხილულია მცირე და დიდი ამოკრეზების შემთხვევები, ანუ მისი ზომა $n < 30$ ან $n \geq 30$ წარმოდგენილი რიცხვთა შემთხვევითი მიმდევრობებით. იგულისხმება, რომ თითოეული შემთხვევითი კომპონენტებიანი ვექტორი გარდაიქმნება ერთ რიცხვად - ამ კომპონენტების საშუალო მნიშვნელობად. ამის შემდეგ ხდება ამ საშუალო მნიშვნელობების ამოკრეზითი განაწილების აგება, რომელიც განსაზღვრავს მოცემული კლასის მწყრივებისათვის დამაჯერებლობის ინტერვალს შესაბამისი სიზუსტით. თუ ეს მანძილი ვერ უზრუნველყოფს დამაჯერებლობის ინტერვალის სასურველ სიზუსტეს, რასაც იშვიათ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი, იგი ცალკე განხილვის საკითხია. ასეთი არები აიგება ორი ან მეტი კლასისათვის მასწავლი მწყრივების საშუალებით. ამის შემდეგ განისაზღვრება კლასების ყოველი წყვილისათვის მანძილი მათ ცენტრებს (საშუალოებს) შორის, რაც განსაზღვრავს დამაჯერებლობის ინტერვალთა ფაქტობრივ სიზუსტეს. ამის შემდეგ ნებისმიერი ახალი უცნობი მიკუთვნების ვექტორის კლასიფიკაცია განისაზღვრება მისი მდგენელების საშუალო მნიშვნელობის მოხვედრით შესაბამის დამაჯერებლობის ინტერვალში, ანუ კლასის ქვე-სივრცეში, რომელიც ზოგად შემთხვევაში წარმოადგენს ჰიპერელიპოდიდს.

**იდეიზოდის ინფორმაციის დინამიკის მათემატიკური მოდელირება.
ცვინაში განვითარებული სტრუქტურები**

**თამაზ ობგაძე, გიორგი ნერსესოვი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საყოველთაოდცნობილი ტერსტოუნ - გილფორდ - მეილის ტესტოლოგიური მიღობა და ჩარლსვორზ - პიაუეს ეთოლოგიური მიღობა. როგორც წესი, ტერსტოუნის მიერ გამოყენებულ ტესტებს შორის შეინიშნება დადებითი კორელაციები. მეორე რიგის ფაქტორული ანალიზი საშუალებას გვაძლევს შემოვილოთ ერთიანი ფაქტორი, ანალოგიურად სპირტების ფაქტორისა. ინტელექტის ფინქოლოგიის უამრავი ნაშრომის ანალიზი გვიჩვენებს, რომ, სხვადასხვა კონცეპციების და მიღვომების მთელედავად, არ არსებობს ინტელექტის ერთიანი თეორია, რომელიც ახსინდა ინტელექტის სხვადასხვა ასპექტს, არ არსებობს ინტელექტის დონის ევოლუციის ერთიანი ხაზი. ამ სივრცის შესავსებად, თ.ა. ობგაძის მიხედვით, შემოიღებულია ინტელექტის ინდექსის ცნება, რომლისთვისაც იგება მათემატიკური მოდელი და განისაზღვრება ზუსტი ამონასნი ინდექსის დინამიკისათვის. ინტელექტის ინდექსის დინამიკის კვლევის პროცესში, დროის მასშტაბების სხვადასხვა სიგრძეებისთვის, შესწავლილია ინტელექტის ინდექსის ცვლილება დროში. ინტელექტის ინდექსის ასაკზე დამოკიდებულების მიღებული იდენტურობა, დროის სხვადასხვა მასშტაბებისთვის, მოწმობს თვითმსგავსობადობაზე, რაც დამახასიათებელია ფრაქტალური სიმრავლეების სტრუქტურისათვის. ინდივიდის ვარსკვლავური დაბადების თარიღი არის ათვლის წერტილი ყოველი დროითი მასშტაბისთვის.

**გლობალური თანიმიჯაციის მეთოდების ეფექტურობის
ექსამინაციული შევასება**

**ნოდარ ჯიბლაძე, ლელა გაჩეჩილაძე, თემურაზ იმედაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

განხილულია გლობალური ოპტიმიზაციის მეთოდები: Psi-გარდაქმნის მეთოდი, სიმბიმის ცენტრების მეთოდი და ექსტრემუმის ძებნის სხვადასხვა კომბინირებული მეთოდები. აღნიშნული მეთოდების უფექტურობის შესაფასებლად ტესტურ ფუნქციებზე ჩატარებულია გამოთვლითი ექსპერიმენტები და გაანალიზებულია მიღებული შედეგები. შედარებითი ანალიზის საფუძვლზე უპირატესობა ენიჭება სიმბიმის ცენტრების მეთოდს, რომელიც დასაშვები სიზუსტითა და მინიმალური დანაკარგებით უზრუნველყოფს გლობალური ექსტრემუმის მოძებნას.

**ორი ინტეგრატორის მქონე ობიექტის ოპტიმალური მართვა
(სისტემის გადაყვანა ნებისმიერი საფუძისი მდგომარეობისას)
კონკრეტული სატავები**

**ნინო მჭედლიშვილი, და მოსაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

განხილულია ორმაგი ინტეგრირების მქონე ინერციული ობიექტის ოპტიმალური მართვის ამოცანა, რომლის გადასაწყვეტად ხდება ოპტიმალური მართვის განსაზღვრა, მოძრაობის ტრაექტორიების აგება ფაზურ სიბრტყეზე, მართვის კანონის პოვნა და მისი რეალიზაციის სტრუქტურული სქემის შედგენა. მოდელების და შედეგების შემოწმება ხდება Matlab/Simulink სისტემაში.

პარალელური ტიპის ორმაჩეანი გამოთვლითი სისტემის მუდამოებლურობა მისი საიმპლოობის გათვალისწინებით

**ილია მიქაელი, ნანა მიქაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

გადმოცემულია პარალელური ტიპის გამოთვლითი სისტემების მწარმოებლურობის ალბათური მახასიათებლების განსაზღვრა, ორი იდენტური, დამოუკიდებელი გამომოვლელი მანქანის სამძლოობის გათვალისწინებით. იგულისხმება, რომ გამოთვლების მოცულობა ამ ამოცანის ამოხსნისათვის არის შემთხვევითი სიდიდე. მოძებნილია პარალელური სისტემის მიერ დავალების მოცემულ დროში შესრულების ალბათური მახასიათებლები, ჩაწერილი ლაპლას-სტილტესის ტერმინებში.

გამოთვლელი მოტორის მიმართ დავალების შესრულების განხორციელება დაუტვირთავი რეზერვით

**ნანა მიქაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

წარმოდგენილია დაუტვირთავი, არარეზერვირუბული მოწყობილობის მიერ დავალების მოცემულ დროში შესრულების ალბათური მახასიათებლების განსაზღვრა. ისინი ჩაწერილია ლაპლას-სტილტესის გარდაქმნის სახით, რომლის მიხედვით შესაძლებელია ამოცანის შესრულების შემთხვევითი დროის რიცხვითი და ალბათური მახასიათებლების მიღება.

**საიმედოობის განვევებლების განსაზღვრა, როცა მტფუნებათა ნაკადი
განაზიანებულია მიმღვრობით-პარალელური ერლანგის ნარჩინი**

**ტრისტან ანჯაფარიძე, ილია ჭ. მიქაელი, ნოდარ მუსერიძე,
ირაკლი შურდაი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განიხილება ისეთ მოწყობილობათა საიმედოობის განსაზღვრის საკითხი, რომლებიც ხასიათდება ორი სახის მტყუნებით: თანდათანობითი (ცვეთითი) და კატასტროფული (უეცარი). თანდათანობითი მტყუნება განაწილებულია ერლანგის ნარევით, ხოლო უეცარი მაჩვენებლიანით. განსაზღვრულია საიმედოობის ძირითადი მაჩვენებლები, როგორიცაა მზადყოფნის ფუნქცია და მზადყოფნის კოეფიციენტი.

**პიზნეს-აროვანების მოღვლის განვევების თანამდობელი არიცებისა და
ინსტრუმენტული საშუალებები**

**გია სურგულაძე, ეკატერინე თურქია, მეგი გოუტაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

განხილულია ბიზნეს-პროცესების მოდელირების თანამედროვე პრინციპები და საშუალებები ბიზნეს-პროცესების მოდელირების ნოტაციის (BPMN- Business Process Modeling Notation) ბაზაზე, რომლის მიზანია ბიზნეს-სტრუქტურების დაპროექტებისა და აგებისთვის მოდელირების გრაფიკული ელემენტების სტანდარტიზაცია და ერთიანი საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა. წარმოდგენილი კონცეფცია ხელს უწყობს ბიზნეს-ოპერაციების შეფასებას და ბიზნესის მუდმივ, ეტაპობრივ ოპტიმიზაციას, სტრუქტურულ და არასტრუქტურულ მონაცემთა ინტეგრაციასა და მათ შემდგომ ანალიზს, სისტემების მონიტორინგს, პროცედურებისა და პროცესების ვიზუალიზაციასა და ვერსიების მართვას.

**მრავალის “ტენი-ოპტიკური მასასიათებელი” ააროჭისიმაციის მეთოდი და
კალიბრის მასასიათებელის განსაზღვრის აღგორითმითი მეთოდი**

**ციური ნოზაძე - შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტი (გორი)
რომან სამხარაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

ინფრასტიტელი ხელსაწყოების ანალიზი აჩვენებს, რომ ცდომილებების მნიშვნელოვანი წილი მოდის მრუდის "ტენი-ოპტიკური მასასიათებელი" აპროქსიმაციის სიზუსტეზე. აპროქსიმაციის კოეფიციენტების განსაზღვრა რთული და მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტების ჩატარებასთანაა დაკავშირებული. ნაშრომში წარმოდგენილია აპროქსიმაციის კოეფიციენტების განსაზღვრის მეთოდი მასალის სამი ნიმუშის საშუალებით, რომელთა ტენიანობა მიახლოებით შეესაბამებიან გასაზომი დიაპაზონის მინიმალურ, საშუალი და მაქსიმალურ მნიშვნელობას. აღნიშნული მეთოდი რეალიზებულია ინფრასტიტელ მეთოდზე ორიენტირებულ გამოთვლით კომპლექსში "პოკ იპ ტენმზომებისათვის" ავტომატიზებული ექსპრიმენტული კვლევებისათვის.

**აროვესების მდგომარეობის ცვლილებების მოძღვირება
აეტრის ქსელების პაზაზე**

**რომან სამხარაძე, ეკა გვარამია, ლია გაჩეჩილაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

სტატიაში შემოთავაზებულია ახალი მიდგომა პროცესების მდგომარეობათა ცვლილების ვიზუალიზებისადმი. ამ მიზნით გამოიყენება პეტრის ქსელების აპარატი, კერძოდ VN-ქსელი. მის ბაზაზე შემუშავებულია პროცესების მდგომარეობათა ცვლილების ვიზუალიზების მოდელები.

ინფორმაციის XLS ფორმატში გენერირების პროცესი

**იოსებ ქართველიშვილი, ნათა კუმელაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია ინფორმაციის XLS ფორმატში გენერირების პროგრამული კომპლექსი. მოყვანილია ბაზისური და ნაწარმოები კლასები, კონსტრუქტორები, პროცედურები და ფუნქციები. ყველა მეთოდის ალგორითმისთვის დამუშავებულია პროგრამული კოდები, რომლებიც წარმოდგენილია სქემატურად და თითოეული მათგანი აღწერილია თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით.

ხელნაწერი სიგაოლოების ნორმალიზაციის ალგორითმი

**იოსებ ქართველიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია ხელნაწერი სიმბოლოების ნორმალიზაციის ალგორითმი, რომელიც წარმოდგენილია თითოეული ალგორითმული ბლოკების სახით. სადაც ყველა მათგანი გათვალისწინებულია ავტომატიზებული ამოცნობის გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად და დახასიათებულია თავისი ფუნქციონალური დანიშნულებებით.

**ინფორმაციულ-ებართვების როგორივის სისტემის
გამოყოფილები ალგორითმი**

**ომარ გაბედავა, სიმონ პოჩოვანი, ვალერი კეჭელია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

ნაშრომში განხილული ინფორმაციულ-მმართველი რობოტების სისტემის აპარატურულ-პროგრამული რეალიზაცია, თანამედროვე ჰიბრიდული გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით გვაძლევს სისტემის მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას და გამოთვლებზე დროითი დანახარჯების შემცირებას.

**მანიაზლატორების მართვის მოდელი მოძიფიცირებული
კონტროლის ქსელით**

ომარ გაბედავა, სიმონ პოხოვიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია მანიაზლატორების ავტომატიზებული მართვის, ტექნიკური ხედვით, აღწერა. ოცემულია სამართავი ობიექტის მართვის სტრუქტურული სქემა და მართვის პროცესის მოდელი მოდიფიცირებული პეტრის ქსელის სახით.

**გადაფყვანილების მიღების მხარდაგაზრდა საინფორმაციო
სისტემებში OLAP კონცეპციის მრთი რჩალიზაციის შესახებ**

ლილი პეტრიაშვილი, ირინა ვაჭარაძე, გიორგი ბასილაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია ბიზნეს-პროცესების ოპერატორული ანალიზის OLAP-ისტრუმენტის გამოყენების საკითხი. შემოთავაზებულია განაწილებული მონაცემთა ბაზებიდან შერჩეული მონაცემების ერთიან გადაწყვეტილების მიღების მხარდაგაზრდა სისტემაში სტრუქტურიზებული ორგანიზება და შესაბამისი პროგრამული პაკეტის რეალიზაცია იმართვის სტრუქტურიზებული დაპროგრამების C++ ენის Decision Cube კომპონენტის გამოყენებით მრავალფაქტორული ანალიზის ამოცანებისთვის.

**პროდუქციის ფარმოვაბის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროცესების
უნიფიცირებული და იმიტაციური მოდელირება**

მაია ოხანაშვილი, თორნიკე შარაშიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია პროდუქციის წარმოების ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროცესების კვლევა სისტემური ანალიზისა და საწარმოს მარკეტინგული უზრუნველყოფის თვალსაზრისით. განიხილება ინტეგრირებული მართვის ავტომატიზებული სისტემის აგების კონცეფცია UML სტანდარტებით და კლიენტ-სერვერ არქიტექტურით. შემოთავაზებულია პროდუქციის წარმოების პროცესის იმიტაციური მოდელის აგების მაგალითი. გამოკვლეულია ამ პროცესის უზრუნველყოფის რესურსების ოპტიმალური რაოდენობა, რომელიც იძლევა მაქსიმალურ მოგებას და განსაზღვრავს დამზადებული პროდუქციის მოცულობას.

გულტიმადია სისტემის მოდელის შემუშავება

მედეა თევდორაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია მულტიმედია სისტემის „ვიდეო შეკვეთითი“ შეფასების საკითხები. კერძოდ დამუშებულია მარტივი მოდელი, რომელიც იძლევა საშუალებას შეფასდეს მულტიმედია სისტემის ისეთი პარამეტრები, როგორიც არის სისტემის კლიენტების ოპტიმალური რაოდენობა, სისტემის ოპტიმალური დატვირთვა, და განისაზღვროს ოპტიმალური პარამეტრების მქონე ვიდეო-სერვერის პროცესორი.

**ტელემეტრიული კომპიუტერული ჩსელგაბის პროცესთვების
საკითხისათვის**

**კონსტანტინე კამპამიძე, მიხეილ მანუკოვი,
მედეა თევდორაძე, მერაბ სალდაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

მოცემულ სტატიაში განხილულია საკითხები და პრობელები, დაკავშირებული ტელემეტრიკინის ქსელების პროცესთვების საკითხებთან. განხილულია ვიდეოკონფერენციის ადგილი და როლი ტელემეტრიკინაში. მოცემულია შერეული ტიპის ქსელის სტურქტურა, რომელიც უზრუნვლებელოფილია ლოგალური ქსელის აბონენტების ვიდეოკონფერენციაში ჩართვას, ამასთან ერთად უზრუნველყოფილია გასვლა არხების კომუტაციის ქსელებზე (სატელეფონო) და პაკეტების კომუტაციის ქსელებზე (ინტერნეტი). აღწერილია ქსელის ძირიადი და სპეციალიზირებული აპარატურული უზრუნველყოფა. მოყვანილია ვიდეოკონფერენციის ქსელის პრობლემები და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის გზები. კერძოდ, შემოთავაზებულია სერვერის პორცესორის მუშაობის დაგეგმვის ალგორითმი, ფაილურის სისტემის ორგანიზაცია, დისკურსი სისტემის ორგანიზაცია და ბუფერირება.

**ასინქრონული დააგროვება ციფრული მოწყობილობების სისტემის
მეთოდის დამუშავება ფინასორი არჩეული ტრიბუნის ბაზაზე**

**ალექსანდრე ბერაშვილი, ლევან იმანაშვილი, ნანა სვანიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

შემოთავაზებულია მეთოდი, რომელიც ასინქრონულად მიწოდებული ინფორმაციული სიგნალების ცვლილების დინამიკის სრულად გათვალისწინების და წინასწარ არჩეული ტრიგერის ბაზაზე ასინქრონული დამგროვებული მოწყობილობების სინთეზის პროცესის მთლიანად ფორმალიზების საშუალებას იძლევა.

**ჩსელურ სისტემებში დაფინანსირებული განატილების ოპერატორი მეთოდები
მაღალი ინტენსივობის საინიციატივო ნაკადების არსებობისას**

**ოთარ ნატროშვილი, ცისანა ხოშტარია, ნინო ნატროშვილი,
სიმონ ხოშტარია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

დამუშავებულია კომპიუტერულ ქსელებში მაღალი ინტენსიონის კლიენტ-სერვერული ინფორმაციით ჭარბი დატვირთვების არსებობის დროს საკომუტაციო კვანძების გამოსასვლელი ინტერფეისებზე პაკეტების ოპტიმალური განაწილების მეთოდები.

სარისხის პარამეტრების ვიბრაციული დიაგნოსტიკა

ელექტრომრავების ექსპლუატაციის მთავაზე

ნოდარ აბელაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

პროდუქციის, საციცოცხლო ციკლის ექსპლოატაციის ეტაპზე, მისი ხარისხის პარამეტრების განსაზღვრა და მითუმეტეს დეფექტების დიაგნოსტირება ხარისხის კონტროლის მნიშვნელოვანი ამოცანაა. შემოთავაზებულია ვიბროგამზომი მოწყობილობის კონსტრუქცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ვიბროაქტიური ობიექტების ხარისხის პარამეტრების შესახებ მსჯელობა ვიბრაციული სიგნალის მეშვეობით. ექსპერიმენტალური კვლევის მონაცემების ერთფაქტორიანი დისპერსიული ანალიზის მეთოდით დამუშავების შედეგად დასაბუთებულია ზემოქმედების ფაქტორის გავლენის ეფექტურობა გამოსასვლელ სიგნალში.

ენერგოგიმატებიდან იცვლებადის შეგროვების საკითხები

იური მოდებაძე, გურამ მურჯიყელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია ენერგოსისტემის დისპეტჩერული მართვისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებისა და გაერთიანების საკითხები. ასევე განხილულია თუ როგორ ხდება ამ ინფორმაციის დამუშავება, დამახსოვრება და ციფრული ნაკადის ფორმირება. აღწერილია შესაბამისი სტრუქტურული სქემები და მუშაობის პრინციპი. რეკომენდებულია, რომ ციფრული ნაკადი უნდა ფორმირდებოდეს სხვადასხვა სიჩქარით იმის და მოხედვით თუ ენერგოსისტემა როგორ რეაქირდება მუშაობს.

**სამუზეუმო ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემის
დაარღმატება მართვის მიზანის მიზანით**

გიორგი გოგიჩაშვილი, რევაზ ყენია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

აღწერილია ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემა, რომლის მიზანია მუზეუმების საინფორმაციო სივრცის მოწყობა. სისტემას მრავალფეროვანი შესაძლებლობები და დიდი დაფარვის ზონა ექნება. სისტემა თავის თავში მოიცავს მუზეუმის შიდა ყოველდღიური სამუშაოების წარმართვას, ასევე ინფორმაციის სწრაფ და მარტივ მოძიებას, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის მომხმარებლისთვის, კერძოდ მუზეუმის თანამშრომელთათვის, მკვლევართათვის, მეცნიერთათვის და ა.შ. სისტემის დაპროექტება ხორციელდება UML ტექნოლოგიის გამოყენებით.

ლინგვისტური პროცესორები: მიმოხილვითი ანალიზი

**ბადრი მეფარიშვილი, თამარ მეფარიშვილი,
გულნარა ჯანელიძე**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება ლინგვისტური პროცესორების განვითარების პრობლემებს. ჩატარებულია თანამედროვე HTML და XML ტექნოლოგიების შედარებითი ანალიზი. შემოთავაზებულია განხილული პრობლემების გადაწყვეტის ასალი მიდგომა. ტექსტური პროცესორის რეალისტური მოდელი ითვალისწინებს აგრეთვე ბუნებრივი ენის ტექსტის გაგებას კომპიუტერის მიერ, ე.ი. როგორც შემეცნების ობიექტის, ასევე მისი ამოცნობის შესაბამისი პროცედურის არსებობას. შემოთავაზებულ მიდგომაში შემეცნების ობიექტად წარმოდგენილია ხელოვნური კონსტრუქცია – შემეცნებითი სახე. დასკვნაში შემოთავაზებული იდეის რეალიზაცია წარმოდგენილია როგორც ხლოვნური ინტელექტის განვითარების სამომავლო პარადიგმა.

სტრუქტური ინტელექტი: პრობლემები და პერსპექტივები

**ბადრი მეფარიშვილი, თამარ მეფარიშვილი,
გულნარა ჯანელიძე**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

რეზიუმე

ადამიანის ჭეშმარიტი არსი მისი ცნობიერებაა, შინაგანი არსება, რომელიც მისი სამშვინველის ბირთვია. მიუხედავად ადამიანის ფსიქიკის მრავალი თეორიული თუ ქცევის ექსპერიმენტული კვლევისა (მაგალითად, კომპიუტერული ფსიქომეტრია, სოციონიკა და სხვ.) აზროვნება, ცნობიერება, თვით სამშვინველიც ჯერ კიდევ შეუსწავლელია და მით უმეტეს არაფორმალიზებული. ბუნებრივია, ეს თემა მნიშვნელოვნად აღმატება მოცემული ნაშრომის ფორმატს, მაგრამ მისი სრულიად გვერდის ავლა ხელოვნური ინტელექტის თვალსაზრისით არ იქნება გამართლებული, რადგან ტვინის მექანიზმების შესწავლის გარეშე ხელოვნური ინტელექტის პრობლემები ვერ გადაწყდება.

**060000000000 ტექნიკური გამოცემის დაფუძნებული სატრანსამორტო
ნაკადების მონიტორინგის სისტემა**

**ზურაბ გასიტაშვილი, ინგა აბულაძე, ვლადიმერ წვერავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

სატრანსამორტო ნაკადების მართვა, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში, ძალიან აქტუალურ თემას წარმოადგენს. როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი სატრანსამორტო საშუალებების რაოდენობის გაზრდამ გამოიწვია საგზაო ქსელის გადატვირთვა, მრავალსათიანი საცობები, გაძნელდა ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა, გაიზარდა საგზაო-სატრანსამორტო შემთხვევების (სსშ) რიცხვი და ა.შ. ამ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით ნაშრომში დამუშავებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სატრანსამორტო ნაკადების მონიტორინგის სისტემა.

ახალი საერთაშორისო ენის შემთხვევის მოთხოვნა

**გელა ღვირეული
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ახალი საერთაშორისო საკომუნიკაციო ენის შექმნის საკითხი. ხაზგასმულია მისი შექმნის მნიშვნელობა ხალხებს შორის როგორც ჩვეულებრივი, საყოფაცხოვრებო, ასევე სამეცნიერო ურთიერთობების ხელშეწყობისათვის. ამ ურთულესი ამოცანის გადაჭრის გასაადვილებლად შემოთავაზებულია ახალი მიღობები, კერძოდ, აღნიშნულ საქმეში ყოველი ერის სპეციალისტების ჩართვა, ენის ავტომატიზებული დაპროექტება და სხვ.

სასრავლო ექსამერტული სისტემების ზოგადი მოდელის შესახებ

**ანა კობიაშვილი, ეკა გვარაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

აღწერილია ევრისტიკულ ცოდნაზე დაფუძნებული სასწავლო ექსპერტული სისტემის მოდელი. დამუშავებულია ცოდნაზე დაფუძნებული სისტემის მოდელი, რომელიც ახდენს მონაცემთა იდენტიფიკაციას მათი მახასიათებლების მიხედვით. შემოთავაზებულია ადეკვატური ინფორმაციის ძებნის პრინციპები სტუდენტებისათვის, რომლებიც ეფუძნება კომპეტენტური კონსულტანტისა და ტრენინგის კომპონენტებს.

საქართველოს კომერციული ბანკების ლიკვიდურობის ანალიზი

**ნონა გიგუაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

რეზიუმე

ნაშრომში ჩატარებულია საქართველოს კომერციული ბანკების ლიკვიდურობის ანალიზი ძირითადი კოეფიციენტების მიხედვით. გამოთვლების შედეგები შედარებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ ნორმატივებთან. დადგენილია, რომ საქართველოს კომერციულ ბანკებს გააჩნიათ ლიკვიდური აქტივების ჭარბი დონე, რაც დეპოზიტორების სიმშვიდის საფუძველს ქმნის.

**ტესტების შედგენა სირთულის გათვალისწინებით
LMS Moodle-ს გარემოში**

თამარ ლომინაძე, თალიკო უვანია, დავით კაპანაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მიმოხილულია სწავლების მართვის სისტემის, LMS Moodle-ს შესაძლებლობები და სასწავლო პროცესში მისი გამოყენების ადგილი. აღწერილია LMS Moodle-ს გარემოში ტესტების გენერირების პრინციპები და ასევე, შეკითხვათა ძირითადი ტიპები, რომელთა შექმნაც სისტემაში შეიძლება. განხილულია ასევე, არსებული ტიპებისაგან განსხვავებული ტიპის, ტესტის სირთულის გათვალისწინებით შექმნის კონცეფცია.

პოპულარული სამგებელი სამსახურის სისტემისათვის

გოჩა დადლაქიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რეზიუმე

განხილულია ენერგოსისტემებში ჰარმონიული მრავალგენერატორიანი, კონკრეტულ შემთხვევაში კი, სამგენერატორიანი სისტემისთვის. მოცემული მათემატიკური მოდელის განხილვის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს პარამეტრების მნიშვნელობათა ჯგუფები, რომლებიც შეესაბამება ბიფურკაციის წერტილებს და მიღება ჰარმონიული მიღების ინდიკატორი. მიღებულია ექსპერიმენტის გარდამავალი პროცესის გრაფიკი და ფაზურ სიბრტყეზე მისი სახე, საბოლოოდ კი – შედეგი, n – განზომილებიანი ფაზური ტორი.

**აროგრამული აალიკაციების მონაცემთა პაზების დაპროექტება
კატეგორიალური მიღებით**

გია სურგულაძე, ნინო თოფურია, მარინე კაშიბაძე, დავით საღინაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განიხილება დაპროგრამების UML ტექნოლოგიის და ობიექტ-როლური მოდელირების ORM ინსტრუმენტის გამოყენებით არსთა-დამოკიდებულების ERM მოდელის ავტომატიზებულ რეჟიმში აგების ამოცანა. კატეგორიალური მიღებისა და ლოგიკურ-ალგებრული მეთოდების გამოყენებით განხორციელებულია საპრობლემო სფეროს მონაცემთა სტრუქტურებისა და ცოდნის ობიექტ-ორიენტირებული მოდელირება.

**საგანგმო სიტუაციათა კლასიფიკაცია და სახელმწიფოს უსაფრთხოების
უზრუნველყოფის ზოგიერთი ასახელება**

ოთარ შონია, ქორნელი ოდიშარია, ცირა ელგუნდარაშვილი,
გულბათ ნარეშელაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაცია, განხილულია სახელმწიფოს უშიშროების ერთ-ერთი ძირითადი გარანტის, საგანგებო სიტუაციათა მართვის სისტემის ეფექტურობის ამაღლების ზოგიერთი ასპექტები.

**ოპერაციულ სისტემაზი ჩიხური პროცესების მართვის
მითი აღგორითების შესახებ
მარინა კაშიბაძე**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განიხილება ოპერაციულ სისტემებში ჩიხური პროცესების არსებობისა და მათი გამორიცხვის შესაძლებლობანი. შემუშავებულია ასეთი პროცესების მართვის მოდელი პეტრის ქსელის ინსტრუმენტის საფუძველზე. ჩატარებულია ამ მოდელის იმიტაციური გამოკვლევა და აგებულია შესაბამისი დროითი მახასიათებლები.